ნინო სოხაძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო
Nino.sokhadze@atsu.edu.ge
https://doi.org/10.52340/lac.2023.08.73

მასიური ადამიანის პრობლემა. საბჭოთა და თანამედროვე განათლება

რეალურ სამყაროში ყველაზე რთული არის ადამიანი. საზოგადოების განვითარების ყველა საფეხურზე მეცნიერების სხვადასხვა დარგები, ანთროპოლოგიური სოციოლოგები, ფსიქოლოგები, ფილოსოფოსები ცდილობდნენ და ცდილობენ დღესაც ადამიანის ფენომენის ახსნას.

აღზრდა-განათლების საკითხი მთელი სიმძაფრით დაისვა XX საუკუნეში, უფრო კი მის მეორე ნახევარში. ამის მიზეზი იყო მეცნიერები და ტექნიკის განვითარება და გაჩნდა ტერმინი „მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია“, რასაც მოჰყვა საზოგადოების ნგრევა, გაუცხოება და უფრო მეტიც - „ტექნიკური გაუცხოება“.

რა არის ტექნიკური გაუცხოება? ეს არის ადამიანის დაცილება მისი ნამდვილი ბუნებისაგან. მისი სვლა არა თავისი არსის, არამედ მის საწინააღმდეგოდაა. ადამიანის ასეთი გაუცხოება გამოწვეულია ტექნიკური პროგრესით. ადამიანმა და ტექნიკამ ადგილები გაცვალეს. თუ მანამ ადამიანი იყო უმაღლესი ღირებულება, ტექნიკა კი საშუალება ამ მიზნის მისაღწევად, ახლა ტექნიკა გახდა უმაღლესი ღირებულება, ესე იგი მოხდა ადამიანის რობოტიზაცია და „ჰომო საპიენსი“ გადაიქცა „ჰომო ფაბერად“, ესე იგი გონებრივი ადამიანი გადაიქცა მწარმოებელ ადამიანად.

რატომ მოხდა ეს? ალბათ, გაგვიჩნდება ეს კითხვა.

ყველა ფილოსოფოსი, სოციოლოგი, კულტუროლოგი, ხელოვნების სხვადასხვა დარგის წარმომადგენელი აღიარებს, რომ ეს ყველაფერი მოხდა იმიტომ, რომ ტექნიკითა და ტექნოლოგიების წინსვლით გატაცებულ ადამიანებს შეუმჩნეველი დარჩა საკუთარი თავი. არ დაუსვა კითხვა საკუთარ თავს: „რა არის ადამიანი?“

ადამიანის აღზრდა ყველა სიტუაციაში, ნებისმიერ სოციალურ გარემოში ხორციელდება ხან მიზანმიმართულად, ხან სტიქიურად. აღზრდა სკოლაშიც ხდება, ოჯახშიც და ქუჩაშიც. „განათლება“ კი სხვაა. ის აუცილებლად კულტურულ გარემოში ხორციელდება და ადამიანის სულიერ-ზნეობრივ ფორმირებას და სრულყოფას ისახავს მიზნად. ეს ხორციელდება ბაგა-ბაღიდან დაწყებული დოქტურანტურით დამთავრებული. უფრო მეტიც, განათლება უწყვეტი პროცესია, იგი ადამიანის მთლიანი სიცოცხლის განმავლობაში ხორციელდება.

ადამიანი არის გონითი არსება.

ხშირია, როცა მოზარდს უჭირს საკუთარი თავის დამკვიდრება, იწყებს სხვადასხვა აზარტულ თამაშს და თავის თავს მარადიულობაში წარმოიდგენს. მოზარდი ვერ ისვენებს, მას ყოველთვის მოესმის „უსასრულობის ძახილი“. ასეთი მოზარდები ქმნიან თავიანთ ილუზიურ სამყაროს. იკრიბებიან, ერთობიან და ასე ხდებიან ოპოზიციონერები ანუ ისინი დამკვიდრებულ და მიღებულ ცხოვრების წესს არ ცნობენ. მათ სურთ ჰქონდეთ განსხვავებული აზრი და ამით თავიანთ განსხვავებულობას გაუსვან ხაზი.

თუ მოზარდს სურს თავისი საზრისის სწორად წარმართვა, მან ყოველთვის უნდა იფიქროს საკუთარ მოთხოვნილებებზე მაღლა დგომაზე. მოზარდის მიერ ასეთი შეხედულებები აქვს გატარებული რევაზ ბალანჩივაძეს თავის სახელმძღვანელოში „ანთროპოლოგიური პედაგოგიკა“. როგორ ყალიბდება მოზარდი პიროვნებად. მოზარდი, რამდენადაც მას გააჩნია აზროვნება, ყოველთვის მაღლა დგას ბიოლოგიურ მოთხოვნებზე. ეს მაღლა დგომა ზოგჯერ ღირსეულია, ზოგჯერ ამაზრზენი.

როცა მოზარდი თავისი თავის რეალიზებას ვერ ახდენს, ის თავს აფარებს ილუზიებს. და როცა ეს ილუზიები უმაქნისი ხდება, ის იკეტება საკუთარ თავში, ანუ ცუდი საქმის კეთებას იწყებს.

ყველა მოზარდს, როგორც ამას ჯონ დიუი ამბობს, აქვს „განდიდების მანია“, რომლის მიღწევა ადამიანს ყველაზე მეტად უჭირს. მას სურს დამკვიდრება მარადისობაში.

პიროვნება, როცა ცხოვრობს საზოგადოებაში, ყოველთვის იზიარებს სხვა ადამიანების სიხარულს და მწუხარებას.

ნაშრომში განხილული გვაქვს ფროიდის მიხედვით ადამიანის საქციელის სამი ინსტანცია: „იგი“, „მე“, „ზე მე“.

„იგი“ ბიოლოგიურ მოთხოვნილებათა და ლტოლვათა სფეროს აღნიშნავს.

„მე“ - ცნობიერ სფეროს,

„ზე მე“ - ზნეობრივს.

ინდივიდის საქციელს „მე“ განაგებს, მაგრამ ის ორივეს ითვალისწინებს - „იგი“ის და „ზე მე“-ს და მათ შორის ხშირად არის უთანხმოება. „ცენზორი“ ბევრ რამეს შიგნით არ უშვებს, მაგრამ გაგდებული ლტოლვები არ კვდებიან და ისინი ეძებენ შეღწევის გზებს. იცვლიან მანერებს, ინიღბებიან, „ცენზორს“ ატყუებენ და ცნობიერებაში იჭრებიან.

აი ასე ხდება ცხოვრებაში ხელოვნური ადამიანის და პოზის შექმნა.

როგორც აღვნიშნეთ, ადამიანებს შეუძლიათ საკუთარი „ცხოვრების მოწყობა“ და ილუზიისთვის თავის შეფარება. ასეთი ადამიანები ცდილობენ თავი შეაფარონ ილუზიას. მათი ცხოვრება მოჩვენებითია. ასეთი ადამიანები და ასევე საზოგადოება საშიშია.

ეს ყველაფერი სათავეს იღებს საბჭოთა პერიოდიდან. სამწუხაროდ, ჩვენ ვიცხოვრეთ წყობილებაში, რომელიც აგებული იყო ტყუილზე. სადაც ადამიანი სხვას ფიქრობდა, სხვას აკეთებდა და სხვას გეუბნებოდა, სადაც სიღარიბე პატიოსნების სიმბოლოდ ითვლებოდა, სადაც არ გქონდა უფლება გცოდნოდა მსოფლიო კულტურა, სხვა ეთნოსის ცხოვრება, სადაც ყველაფერი თავისუფალი იდევნებოდა.

როგორი იყო საბჭოთა განათლება. ალბათ, რაღაც ჰქონდა დადებითი. მხედველობაში მაქვს სასკოლო სახელმძღვანელოები, რომლებიც ნამდვილად იყო აკადემიური. მასწავლებლის მაღალი პროფესიონალიზმი. იგრძნობოდა, რომ სკოლაში იყო დისციპლინა, მაგრამ ვერავინ გრძნობდა რის ხარჯზე.

მინდა მოვახდინო შედარება თანამედროვე და საბჭოთა განათლების.

თანამედროვე განათლებაში დადებითს რასაც ვხედავ არის ის, რომ მოსწავლეს შეუძლია გამოთქვას საკუთარი აზრი, დასვას შეკითხვა. ამას აღარ ებრძვიან მასწავლებლები, მაგრამ, სამწუხაროდ, მოსწავლე ვეღარ სვამს კითხვას. მას არ აქვს ამის განათლება და, სამწუხაროდ ის მასიური ადამიანის შვილია.

არის ძალიან არააკადემიური სახელმძღვანელოები, რომლებიც, სამწუხაროდ, ვერ აძლევენ მოსწავლეს ცოდნას. მთელი საგანმანათლებლო სისტემა არის აგებული თითქოს მხოლოდ უნარ-ჩვევებზე, პრაგმატიზმზე და არ არსებობს ნამდვილი ცოდნის აუცილებლობა.

სწორედ ეს არის საფუძველი მასიური ადამიანის ჩამოყალიბების, ინდივიდუალიზმის გაქრობის.

ლიტერატურა:

ზურაბ კაკაბაძე „ფილოსოფიური საუბრები“, თბილისი, 1980 წ.
ასათიანი, ბალანჩივაძე „პედაგოგიკის ფილოსოფიური საუბრები“, თბილისი, 1992 წ.
რ.ბალანჩივაძე „ანთროპოლოგიური პედაგოგიკა“, 2002 წ.

Nino Sokhadze
Akaki Tsereteli State University
Kutaisi, Georgia

“The problem of Massive Person. Soviet and Modern education”

Abstract

In my article : “The problem of Massive Person. Soviet and modern education” I discuss the huge problem which is common both in Soviet and modern education system.

This problem is problem of thinking. Unfortunately the modern education can’t learn students, pupils to be individual person, can express your views, wishes, negative and positive sides. All this formed person interesting.

It is clear that the main fact to solve this problem is family, school and social environment.

If we don’t fight this illness our country never became thinking like European countries.